Investor.ge
Analytical Business Magazine
AMCHAM
AMERICAN CHAMBER OF COMMERCE IN GEORGIA

2024 წლის 27 მაისი

Investor.ge-ს რედაქციისგან: უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონის უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე

საქართველოს კანონმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ დიდი ყურადღება მიიპყრო იმ საფუძვლით, რომ ის აზიანებს ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიასა და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. ნაკლები ითქვა კანონის ეკონომიკურ ზემოქმედებაზე, რაც არანაკლებ ნეგატიური და მძიმე იქნება ქვეყნისთვის. მოკლევადიან პერსპექტივაში კანონის მიღების რისკმა უკვე იქონია გავლენა ტურიზმის სექტორზე, საერთაშორისო ბირჟებზე ქართული კომპანიების აქციების ფასებზე და ეროვნულ ვალუტაზე.

გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ კანონი ამოქმედდება, შემცირდება ეკონომიკური მხარდაჭერის იმ პროგრამების დაფინანსება, რომელთა განხორციელებაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდისთვის და განსაკუთრებით, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ხელშეშლა დააბრკოლებს ქვეყნის გრძელვადიან განვითარებას და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას და შესაძლოა, ისეთი უკუსვლაც გამოიწვიოს, რაც საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის გაუქმებასა და სანქციების დაწესებამდე მიგვიყვანს. და ბოლოს, თუ კანონის მიღება აღქმული იქნება როგორც დასავლური ორიენტაციის უარყოფა, ეს ხელს შეუშლის დასავლური ინვესტიციების შემოდინებას და გაზრდის საქართველოს ეკონომიკურ დამოკიდებულებას უაღრესად პრობლემურ და არასტაბილურ რეგიონზე.

საფრთხე საქართველოს ეკონომიკური ზრდისთვის

ლონდონის საფონდო ბირჟაზე პრემიუმ კატეგორიაში რეგისტრირებული კომპანიების - „საქართველოს ბანკისა“ და “თიბისი ბანკის“- აქციების ფასები, სავარაუდოდ, ყველაზე ნათლად ასახავს საერთაშორისო ინვესტორების განწყობას საქართველოს მიმართ. კანონმა და მისმა გავლენამ საქართველოს ბანკის აქციების ფასი 5510 GBP-დან (1 მაისის პიკური მონაცემით) 4015 GBP-მდე (27 მაისის მდგომარეობით) ანუ 27%-ით შეამცირა. „თიბისის“ აქციების ფასი 25%-ით არის შემცირებული.

არაპროგნოზირებადი გახდა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი - ლარის კურსი. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის პირველი მოსმენიდან რამდენიმე დღეში ლარი 4%-ით გაუფასურდა. საპასუხოდ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 60 მილიონი დოლარის რეზერვები გაყიდა. ისტორიული სტანდარტებით ეს საკმაოდ მასშტაბური ინტერვენციაა, რაც, დიდი ალბათობით, საშუალოვადიან პერსპექტივაში მდგრადი ვერ იქნება.

ამას გარდა, ცოტა ხნის უკან გამართულ პრესკონფერენციაზე, ამერიკის სავაჭრო პალატამ საქართველოში, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭომ, ევროპის ბიზნესასოციაციამ, გერმანიისა და საფრანგეთის ბიზნესასოციაციებმა და რამდენიმე სხვა ბიზნესგაერთიანებამ განაცხადეს, რომ ამ კანონის გამო რამდენიმე უცხოურმა ბიზნესმა საინვესტიციო გეგმები შეაჩერა, ტურისტებმა კი საქართველოში მოგზაურობა გააუქმეს.

ნეგატიური გავლენა განვითარების დაფინანსებაზე

კანონს გრძელვადიანი გავლენა, პირველ რიგში, უცხოური წყაროდან დაფინანსებულ ეკონომიკური განვითარების პროექტებზე ექნება. ასეთი პროექტი დღეს საკმაოდ ბევრია. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მხოლოდ 2022 წელს საქართველოს დაახლოებით 400 მილიონი აშშ დოლარის დახმარება გამოეყო. კოვიდპანდემიის პერიოდში მიღებულმა დახმარებამ 1.1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ეს თანხა სრულად არ ასახავს ხელმისაწვდომი ნაღდი ფულის რაოდენობას, რადგან ის მხოლოდ სესხების სუბსიდიებს მოიცავს. რეალურად, განვითარების პროგრამების დაფინანსება მილიარდობით დოლარს სცდება. სწორედ საერთაშორისო დაფინანსებაზე მაღალი ხელმისაწვდომობით შეძლო საქართველომ კოვიდით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების შედარებით უმტკივნეულოდ გადალახვა.

განვითარების პროგრამების მხარდაჭერა რამდენიმე მიზეზით არის მნიშვნელოვანი. ხელმისაწვდომი რესურსების ყველაზე დიდი წილი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან (IFI), მათ შორის, მსოფლიო ბანკიდან, აზიის განვითარების ბანკიდან და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკიდან მიღებულ მხარდაჭერაზე მოდის. ეს, ძირითადად, სესხის სახით გაცემული ფულია, თუმცა, ამ სესხებს მთავრობები საერთაშორისო ბაზარზე არსებულ განაკვეთებზე გაცილებით შეღავათიანი პირობებით იღებენ. ამ ფულით ფინანსდება ინფრასტრუქტურის განახლების ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის აღდგენა-გაყვანა, ქალაქის ინფრასტრუქტურის, მათ შორის, გზების, განათებისა და ნარჩენების მართვის გაუმჯობესება და ბოლო დროს ბევრი ქართული სკოლის გარემონტება.

განვითარების სხვა ინიციატივები დახმარების სააგენტოების მეშვეობით ფინანსდება. ესენია USAID, ევროკავშირი, GIZ და მრავალი სხვა. უცხოური გრანტები არაერთი სფეროს, მათ შორის, ეკონომიკური განვითარებისთვის გამოიყოფა. მაგალითისთვის, USAID ინტენსიურად მუშაობს თხილის წარმოების გაუმჯობესებაზე, მათ შორის, ფაროსანას პრობლემის აღმოფხვრაზე, რამაც თითქმის გაანადგურა თხილის მოსავალი - ქვეყნის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი პროდუქტი. მათ ასევე აქვთ პროექტები ტურიზმის, ახალი ტექნოლოგიების, ტრანსპორტისა და ლოჯისტიკის, ღვინის წარმოების, ინვესტიციების მოზიდვის და ბევრი სხვა საკითხის მხარდაჭერისთვის.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმა შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ამ პროგრამებზე. თუ კანონი გაართულებს საქართველოში საერთაშორისო პარტნიორების საქმიანობას, დახმარების პროექტების განხორციელება პრაქტიკულ დაბრკოლებებს გადააწყდება.

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებით, რომ რესურსების უმეტესი წილი დასავლეთის ქვეყნებზე მოდის, დამაზიანებელი რიტორიკისა და ქმედებების გაგრძელება საფრთხეს შეუქმნის პარტნიორობას და დიდი ალბათობით, შეამცირებს დახმარების მასშტაბს. როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ცოტა

ხნის უკან განაცხადა, კანონის მიღება გამოიწვევს აშშ-საქართველოს ურთიერთობის „ყოვლისმომცველ გადახედვას“, მათ შორის, ეკონომიკურ მხარდაჭერის ნაწილშიც.

ზიანი ევროკავშირისკენ სწრაფვის გზაზე

ამ კანონის მთავარი უარყოფითი გავლენა არა დონორთა თანხების დაკარგვა, არამედ დასავლეთთან ურთიერთობების ფუნდამენტური ნეგატიური ცვლილება იქნება. აქ იგულისხმება როგორც დასავლეთის ქვეყნების მთავრობები, ისე ინვესტორები და მოქალაქეები.

ევროკავშირმა უკვე ნათლად თქვა, რომ კანონი მნიშვნელოვნად ამცირებს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე საქართველოს წინსვლის ალბათობას. ევროკავშირის ელჩის პაველ ჰერჩინსკის შეფასებით, კანონი „შეუთავსებელია ევროპულ ნორმებთან და ევროპულ ღირებულებებთან“.

2023 წლის ბოლოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებას ყველა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. ეკონომიკური თვალსაზრისით ამ სიხარულის ერთ-ერთი მიზეზი 450 მილიონიანი მომხმარებლის და 19.4 ტრილიონი დოლარის ევროკავშირის ბაზარზე წვდომის შესაძლებლობის გაჩენა იყო.

ამ შესაძლებლობის მნიშვნელობა ისტორიული ფაქტებით დასტურდება. გაწევრიანების პროცესში და გაწევრიანებიდან მოკლე პერიოდში ევროკავშირის ყველა კანდიდატმა ქვეყანამ შეძლო ინვესტიციების, ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაუმჯობესება. ამას დიდწილად განაპირობებს ეროვნული და საერთაშორისო ბიზნესების ნდობის ზრდა, რაც ევროკავშირში ინტეგრაციას მოსდევს. როგორც განვითარებული ეკონომიკა, ევროკავშირის ბაზარი არამხოლოდ დიდია, არამედ წარმოუდგენლად სტაბილური და საიმედოა თავისი გრძელვადიანი ინსტიტუტებით, რომლებიც წევრ ქვეყნებში წესების თანმიმდევრულ დაცვას უზრუნველყოფენ. ეს დადებითად მოქმედებს ბიზნეს გარემოს საიმედოობაზე, რაც რომელიმე ერთი მთავრობის გავლენას სცდება და შესაბამისად, გრძელვადიანი ინვესტიციებისთვის საჭირო ნდობის ხარისხს ქმნის.

მაგალითისთვის, თუ ევროკავშირის წევრი ქვეყანა მიიღებს კანონს, რომელიც ევროკავშირის კანონმდებლობას დაარღვევს, ის შეიძლება ევროპულ სასამართლოში გასაჩივრდეს და ქვეყანას მისი უკან გაწვევა მოუწევს. ასეთ სისტემაში საკანონმდებლო აქტები, რომლებიც პირადი მონაცემების ხელშეუხებლობას ლახავს ან ერთ კომპანიას, სხვებთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს, სასამართლოს მიერ უქმდება და ძალაში არ შედის.

შესაბამისად, ევროკავშირის „კლუბში“ გაწევრიანებისთვის მთავრობამ უნდა გამოხატოს მზადყოფნა, რომ დაიცავს მსგავსი ტიპის წესებს. „უცხოური გავლენის გამჭვრივალობის შესახებ“ კანონის მიღება საპირისპიროზე მეტყველებს. თუ წესებს არ დაიცავ, „კლუბში“ არ დაიშვები - პრინციპი მარტივია.

ეს იქნება ისტორიული ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა. ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს კეთილდღეობის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიის

გაუმჯობესების უდიდეს შანსს სთავაზობს. ეჭვგარეშეა, რომ ამ შანსის არგამოყენება უფრო გაგვაღარიბებს და დაუცველს გაგვხდის.

შედეგები შესაძლოა უარესიც იყოს. თუ საქართველო ევროკავშირის „კლუბის“ ნაწილი არ გახდება, არ არის გამორიცხული, ევროკავშირთან ასოცირების სხვა ბენეფიტებიც გაუქმდეს. განვითარების პროექტების დაფინანსების მიღმა, საქართველოს მიერ დღემდე მოპოვებული ყველაზე დიდი სარგებელი ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაა. ეს შესაძლებლობა საზოგადოებაში განსაკუთრებით პოპულარულია. მას მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელიც მოაქვს, რადგან საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს, წავიდნენ ევროპაში სამუშაოდ და ასევე, განავითარონ საქმიანი ურთიერთობები ევროკავშირში.

საქართველომ შეძლო ევროკავშირში ღვინის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მსუბუქი წარმოების ექსპორტის გაზრდა. ასევე, ევროპული ბიზნესკომპანიების ბიზნესპროცესების აუთსორსინგის დახმარებით, გაიზარდა დასაქმების შესაძლებლობებიც. ყველაფერ ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ის ფაქტი, რომ საქართველოს მოქალაქეებს და ქართულ კომპანიებს შეუძლიათ, თავისუფლად წავიდნენ ევროკავშირში მარკეტინგული მიზნებისთვის, კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სხვადასხვა კონტაქტის დასამყარებლად. ამ სარგებლის დაკარგვა დიდი დარტყმა იქნება მზარდი ბიზნესებისთვის და ეროვნული სიამაყისთვის.

დასავლური ორიენტაციის უარყოფის სიგნალი

თუ დასავლეთი გადაწყვეტს, სანქციები დაუწესოს იმ ქართველებს, რომლებიც კანონის მიღებაში მონაწილეობდნენ, ზარალი მხოლოდ მათ არ მიადგებათ. ფინანსური ინსტიტუტებისთვის ქვეყანაში და მის ფარგლებს საფრთხილო გახდება სესხის გაცემა ან/და კაპიტალდაბანდება ისეთ კომპანიებში, რომელთა მესაკუთრეებიც ბოლომდე გარკვეული არ არის, რადგან არსებობს რისკი, რომ შემთხვევით სანქცირებული პირი დააფინანსონ. ამას მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ექნება და, როგორც მინიმუმ, ქვეყნის რეპუტაციასა და რისკ-პროფილს დააზიანებს.

თუ საქართველოს არ ექნება გეზი დასავლეთისკენ, პროდასავლური წყაროებიდან ინვესტიციების მოზიდვას ვერ შეძლებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. შესაძლოა, ეროვნული საკრედიტო რეიტინგიც დაქვეითდეს ან/და IMF-ის შეფასებები გაუარესდეს, რაც სხვა ნეგატიურ ეკონომიკურ ეფექტსაც გამოიწვევს.

AmCham-ის წევრებმა და სხვა ბიზნესასოციაციებმა უკვე განაცხადეს ბოლო თვეში ინვესტიციების შემცირების ფაქტებზე და გამოხატეს შეშფოთება ქვეყნის მიმართულებასთან დაკავშირებით. „უცხოური გავლენის გამჭვრივალობის შესახებ“ კანონი ავლენს ფუნდამენტურ უნდობლობას გარე დაფინანსების მიმართ იმის მიუხედავად, თუ საიდან მოდის ეს დაფინანსება და რას ხმარდება ის. კანონი არ განასხვავებს მეგობარ სახელმწიფოებს მტრებისგან და დახმარებისკენ მიმართულ ქმედებებს - ზიანის მომტანისგან. უფრო მეტიც, კანონის გარშემო არსებული რიტორიკა მიუთითებს, რომ ყველაზე საეჭვოდ სწორედ დასავლური წყაროებიდან მიღებული დაფინანსება აღიქმება.

ბუნებრივია დასავლური და დასავლეთთან მჭიდრო კავშირების მქონე ბიზნესსადოგადოების განცდა, რომ შესაძლოა, მათი ბიზნესინვესტიციებიც ნეგატიურად იყოს შეფასებული. ეს უკიდურესად პრობლემურია ქვეყნისთვის, რომელიც სწრაფად განვითარდა, მათ შორის, დასავლეთთან ძლიერი კავშირების დახმარებით. საბანკო საქმიანობით დაწყებული ტურიზმით დამთავრებული და IT სექტორით დაწყებული საცალო ვაჭრობით დამთავრებული ქართული ბაზარი მოდერნიზდა უცხოური ექსპერტიზისა და ადგილობრივი ნიჭის პარტნიორობის შედეგად.

ამ კავშირების გაწყვეტა უდავოდ ნიშნავს, რომ საქართველო ეკონომიკურად უფრო დამოკიდებული გახდება რუსეთზე. ეს ეწინააღმდეგება მოსახლეობის 80%-ის მისწრაფებებს ევროინტეგრაციისკენ და გარდა ამისა, ძირს უთხრის კორპორატიულ სექტორს ფართო გაგებით, ვინაიდან რუსული ფინანსები ემყარება პატრონაჟს და არა სამართლებრივ პროცესს. ამავდროულად, ეკონომიკური უსაფრთხოება შესუსტდება, რადგან რუსეთში ბაზარზე წვდომა გეოპოლიტიკურ იარაღად გამოიყენება, რაც რუსული სახელმწიფო აპარატის ტიპური მახასიათებელია.

რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის გავლენა ბიზნეს გარემოზე არ შეიძლება განვაცალკევოთ მისი გავლენისგან საქართველოს დემოკრატიასა და საერთაშორისო პოზიციებზე. როგორც არ უნდა შევხედოთ ამ საკითხს, კანონი გვაქცევს ნაკლებად უსაფრთხო, ნაკლებად დამოუკიდებელ და ღარიბ ქვეყნად. კანონი უნდა გაიწვიონ.